შედგა ჟურნალის – „ეკლესია და დრო“ განახლებული სარედაქციო საბჭოს პირველი სხდომა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 12.28.2022. 27 დეკემბერს ქ. მოსკოვის ანდრეევის სტავროპიგიალურ მონასტერში გაიმართა ჟურნალის – „ეკლესია და დრო“ განახლებული სარედაქციო საბჭოს პირველი სხდომა.

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ჟურნალი „ეკლესია და დრო" დაარსდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით 1991 წელს. ოცდაათ წელზე მეტი ხნის ისტორიის მანძილზე ასი ტომი გამოიცა. 2023 წლიდან, უწმინდესი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ჟურნალი გამოიცემა ორი სინოდალური დაწესებულების ეგიდით, ესენია: საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილება და წმინდა მოციქულთასწორთა კირილეს და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურა და დოქტორანტურა.

სარედაქციო საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა მისი ორი თანათავმჯდომარე: სსკგ-ის მეთაური, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი და ზსად-ის რექტორი, დეკანოზი მაქსიმე კოზლოვი. განახლებულ სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში ასევე შევიდნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი, დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი, სასულიერო აკადემიების რექტორები, საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, მოსკოვის ეპარქიის სასულიერო სემინარიების რექტორები.

საბჭოს მუშაობის პროცესში განიხილეს და განსაზღვრეს 2023 წელს ჟურნალის განვითარების ძირითადი პერსპექტივები, ჩამოყალიბდა პუბლიკაციების შერჩევის სტრატეგია. აღინიშნა გამოცემის ელექტრონული ვერსიის უფრო აქტიური გავრცელების აუცილებლობა, – იტყობინება **ზსად-ის პრეს-სამსახური**

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89900/